სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

Empowered lives.
Resilient nations.

პირადობის მოწმობა

ვის შეგიძლიათ მიმართოთ თქვენი პერსონალური მონაცემების არაკანონიერი დამუშავების შემთხვევაში?

პერსონალური მონაცემების უკანონოდ დამუშავების შემთხვევაში, მიმართეთ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების მაკონტროლებელ ორგანოს - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

მისამართი: ***საქართველო, თბილისი, ნ. ვაჩნაძის №7, 0105***

ტელეფონის ნომერი: ***(+995 32) 242 1000***

ვებგვერდის მისამართი: ***www.sis.gov.ge***

ელ. ფოსტის მისამართი: ***office@stateinspector.ge***

დოკუმენტი მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს გაეროს განვითარების პროგრამის მოსაზრებებს.

პირადობის მოწმობა თქვენი ვინაობის დამადასტურებელი ძირითადი დოკუმენტია.

პირადობის ელექტრონულ მოწმობაზე დატანილია თქვენი პერსონალური მონაცემები - სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, მოქალაქეობა, სქესი,პირადი ნომერი, ფოტოსურათი, პირადი ხელმოწერა და დოკუმენტის შესახებ მონაცემები.

პერსონალური მონაცემების დამუშავების წესებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს.

პირადი ნომერი პირის უნიკალური იდენტიფიკატორია და იძლევა სხვა პირთაგან გამორჩევის შესაძლებლობას. ერთი და იმავე პირისათვის ორი ან მეტი პირადი ნომრის მინიჭება, ასევე, ორი ან მეტი პირისათვის ერთი პირადი ნომრის მინიჭება დაუშვებელია. ასევე, დაუშვებელია ერთხელ მინიჭებული პირადი ნომრის გაუქმება ან/და შეცვლა, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

რა რისკები და საფრთხეები არსებობს?

ვინაიდან თქვენი პირადი ნომრისა და პირადობის მოწმობაში მითითებული სხვა პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამოყენების მრავალი რისკი არსებობს, საჭიროა გაუფრთხილდეთ მათ და დაიცვათ ისინი მესამე პირთაგან.

თქვენი პირადი ნომრის გამოყენებით შესაძლებელია:

- *თქვენი სახელით სხვადასხვა ონლაინ სერვისის (მაგალითად, თქვენზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებების ან იარაღის შესახებ ინფორმაციის) მიღება;*
- *თქვენი სახელით ფინანსური ვალდებულებების (მაგალითად, ონლაინ სესხის) აღება;*
- *თქვენი ფინანსური ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის მოძიება;*
- *თქვენს სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების იდენტიფიცირება.*

როგორ უნდა დაიცვათ თქვენი პერსონალური მონაცემები?

- *ნუ გაუმჟღავნებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს მესამე პირებს, მათ შორის, ინტერნეტ გვერდების მეშვეობით;*
- *თუ ითხოვენ თქვენი პერსონალური მონაცემების გაზიარებას, დაინტერესდით ვის მიერ და რა მიზნით მოხდება მათი გამოყენება;*
- *უყურადღებოდ ნუ დატოვებთ თქვენს საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს და მათ ასლებს;*
- *გამოყენების შემდგომ, გაანადგურეთ საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები;*
- *საიდენტიფიკაციო დოკუმენტი შეინახეთ უსაფრთხო და დაცულ ადგილას;*
- *ნუ დატოვებთ თქვენს საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს ქმედების განხორციელების, მაგალითად, ნივთის დაბრუნების სანაცვლოდ;*
- *ონლაინ მომსახურების გამოყენებისას შეამოწმეთ გვერდების საიმედოობა და შეიყვანეთ თქვენი პერსონალური მონაცემები მხოლოდ უსაფრთხო საიტებზე;*

რა უფლებები გაქვთ?

თქვენი პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, უფლება გაქვთ:

- *მოითხოვოთ ინფორმაცია, თუ რა მიზნით და საფუძვლით ითხოვენ თქვენ პერსონალურ მონაცემებს;*
- *მოითხოვოთ ინფორმაცია, რამდენად აუცილებელია მომსახურების გაწევისთვის თქვენი პერსონალური მონაცემების მიწოდება;*
- *მოითხოვოთ ინფორმაცია იმის შესახებ გადაეცემა თუ არა თქვენი პერსონალური მონაცემები მესამე პირებს;*
- *მოითხოვოთ დოკუმენტში შეცდომით დაფიქსირებული ან მოძველებული პერსონალური მონაცემის გასწორება და განახლება;*
- *მოითხოვოთ უსაფუძვლოდ მოპოვებული პერსონალური მონაცემების წაშლა ან/და განადგურება;*
- *უკან გაითხოვოთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე გაცემული თანხმობა.*